Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Eidgenössisches Justiz- und Polizeidepartement EJPD

Staatssekretariat für Migration SEM
Abteilung Subventionen
Sektion Finanzaufsicht

Aktenzeichen: 254.00-923/16/2
Datum/Unser Zeichen: 15. Juli 2022 / sem-blc

GEORGISCH

მოკლე ინფორმაცია ქონების საგანგებო მოსაკრებლის შესახებ

თავშესაფრის შესახებ კანონის 86-ე მუხლის საფუძველზე თავშესაფრის მაძიებლები, დროებით დაშვებული და დაცვის საჭიროების მქონე პირები, რომლებიც არ ფლობენ ბინადრობის მოწმობას, ექვემდებარებიან ქონების საგანგებო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას.

ქონების საგანგებო მოსაკრებლის ამოღება ხდება ქონების/აქტივების ჩამორთმევის შედეგად. ამის განსახორციელებლად, პოლიციას, სასაზღვრო დაცვასა და სხვა უწყებებს შეუძლიათ დროებით ჩამოართვან ქონება/აქტივები პირს, რომელსაც ეკისრება ქონების საგანგებო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულება. დროებით ჩამორთმეული ქონება/აქტივები გადაეგზავნება მიგრაციის სახელმწიფო სამდივნოს. მიგრაციის სახელმწიფო სამდივნო შესაბამისი ბრძანებით იღებს გადაწყვეტილებას ქონების საბოლოო კონფისკაციის შესახებ, რის შედეგადაც ხდება ქონების საგანგებო მოსაკრებლის ამოღება.

ქონების საგანგებო მოსაკრებლის გადახდის ვალდებულებას დაქვემდებარებულმა პირებმა უნდა დაასაბუთონ თავიანთი ქონების/აქტივების წარმომავლობა.

თუ დასტურდება, რომ ქონება/აქტივები მიღებულია შვეიცარიაში ანაზღაურებადი სამსახურის ხელფასიდან ან სოციალური/გადაუდებელი დახმარების თანხებიდან, ის მთლიანად დაუბრუნდება უფლებამოსილ პირს.

სხვა აქტივების/ქონების შემთხვევაში, თუ დასტურდება მათი კანონიერი წარმომავლობა, პირს საბოლოოდ მხოლოდ ის თანხა ჩამოერთმევა, რაც აღემატება 1000 შვეიცარიულ ფრანკს. (განკარგულება თავშესაფრის შესახებ II, მე-16 მუხლი, მე-4 პუნქტი).

თუ არ დადასტურდა დროებით ჩამორთმეული აქტივების/ქონების კანონიერი წარმომავლობა, პირს ქონება მთლიანად ჩამოერთმევა საბოლოოდ.

თუ საგანგებო დაბეგვრას დაქვემდებარებული პირი კონტროლირებადი ფორმით ტოვებს ქვეყანას თავშესაფრის ან დროებითი დაცვის შესახებ განაცხადის წარდგენიდან შვიდი თვის ვადაში, მას შესაძლებელია დაუბრუნდეს ჩამორთმეული ქონება/აქტივები (თავშესაფრის შესახებ კანონის 87-ე მუხლის მე-2 პუნქტი). შესაბამისი ქონების/აქტივების წარმომავლობის დამადასტურებელი საბუთი და განცხადება ქვეყნის დატოვებისას თანხის ანაზღაურების მოთხოვნით უნდა გაიგზავნოს შემდეგ მისამართზე:

Staatssekretariat für Migration,
Finanzaufsicht, Quellenweg 6,
3003 Bern-Wabern